

## **რა სურს სამინისტროს**

აკადემია, როგორც ინსტიტუტების გაერთიანება, და თვით ინსტიტუტებიც უნდა გაქრეს. მეცნიერება უნდა კეთდებოდეს მხოლოდ უნივერსიტეტებში.

ამ გეგმის განხორციელება ლომიას თავიდანვე უნდოდა, მაგრამ დიდი წინააღმდეგობის გამო ვერ შეძლო. ამიტომ ამ გეგმის თანდათანობით განხორციელებას შეუდგა.

## **რა გაკეთდა უკვე**

1. აკადემიას ჩამოართვეს ასპირანტების (ახალი ტერმინოლოგიით დოქტორანტების) ყოლის უფლება.
2. 2004-ის დეკემბერში აკადემია, კანონის დარღვევით, გადაიყვანეს სამინისტროს ბიუჯეტში.
3. 2005-ის დეკემბერში მიიღეს კანონი, რომლითაც აკადემია გადაიქცა აკადემიკოსთა კრებულად, ინსტიტუტები კი გადავიდნენ უშუალოდ სამინისტროს დაქვემდებარებაში.
4. ლომიას სურდა, რომ ამავე კანონით ინსტიტუტები გადასულიყვნენ მთლიანად საგრანტო დაფინანსებაზე, მაგრამ მოხერხდა საბაზო დაფინანსების შენარჩუნება, რამაც ლომიას დიდი გულისწყრომა გამოიწვია.

## **რას აპირებს სამინისტრო**

მაისში გამართულ INTAS-ის კონფერენციაზე ლომიამ განაცხადა, რომ საბაზო დაფინანსება მას ესმის, როგორც ადმინისტრაციის ხელფასი და ინფრასტრუქტურის (დენის და წყლის) ხარჯები, ხოლო მეცნიერები მხოლოდ გრანტულად უნდა დაფინანსდნენ.

თუ ეს გეგმა განხორციელდა, ინსტიტუტების არსებობა აზრს მთლიანად დაკარგავს და შედეგად ინსტიტუტი მშვიდად გარდაიცვლება. რატომ? იმიტომ, რომ გრანტით დაფინანსდება ალბათ მხოლოდ 2-3 ჯგუფი, ანუ 10-20 ადამიანი (მეტის დაფინანსება ვერ მოხერხდება საგრანტო ფონდის უკიდურესი სიმცირის გამო).

## **რა უნდა გაკეთდეს ინსტიტუტის გადასარჩენად**

ლომიას ეს გეგმა – მეცნიერთათვის საბაზო დაფინანსების მოსპობა – აბსოლუტურად ეწინააღმდეგება უკვე მიღებულ კანონს, ამიტომ მთელი ძალისხმევა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ მინისტრს არ მიეცეს კანონის დარღვევის ან კანონით მანიპულირების საშუალება.

## **როგორი უნდა იყოს ინსტიტუტი, თუ გადაარჩა**

ასეთი ფორმით, როგორც დღესაა ინსტიტუტი ვერ შენარჩუნდება. რეფორმირებული ინსტიტუტი, ჩემის აზრით, უნდა იყოს მსგავსი CNRS და მაქს პლანკის ინსტიტუტებისა. ვგულისხმობ აი რას.

ინსტიტუტში უნდა მუშაობდნენ ორი ტიპის თანამშრომლები – მუდმივი (პირობითად სუპერვაიზორები) და დროებითი. ეს დროებითი თანამშრომლები 1-2 წლით მოდიან ინსტიტუტში, უნივერსიტეტის მერხიდან (დოქტორანტები და პოსტდოქტორები) ან უნივერსიტეტის კათედრიდან (საბატიკალზე), მუშაობენ აქ სუპერვაიზორებთან ერთად ან დამოუკიდებლად, აგროვებენ პუბლიკაციებს, ანუ იუმჯობესებენ CV-ს, და ვადის გასვლის შემდეგ იმარჯვებენ რომელიმე უნივერსიტეტის კონკურსში და იქ გადადიან.

ასეთი ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის ორი პირობაა აუცილებელი.

1. უნივერსიტეტებში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს რეალური კონკურსები.
2. უნდა იყოს სწორი პროპორცია უნივერსიტეტებში სამუშაო ადგილებისა და ინსტიტუტში დროებით სამუშაო ადგილებს შორის.

### **როგორ შეიძლება გადავიდეთ ასეთ სისტემაზე**

თანდათან! უკვე ახლავე ყველა პოზიცია ინსტიტუტში დროებითია (3 წლიანი). 3 წლის შემდეგ უნდა ჩატარდეს ძალიან მკაცრი კონკურსი მუდმივ პოზიციებზე, ხოლო დროებითი თანამშრომლების მიღება ახლავე უნდა დაიწყოს. ძალიან სამწუხაროა (თუ ტრადიკული არა), რომ დოქტორანტების მიღება ინსტიტუტებს აეკრძალა. იძულებულები ვიქნებით, რომ დავიწყოთ პოსტდოქტორებით. უნდა დავარწმუნოთ სამინისტრო, რომ ასეთი პოზიციების ქონა ქვეყანაში აუცილებელია და (ყოფილი) აკადემიის ინსტიტუტების გარდა ამას ვერავინ ვერ გააკეთებს (არგუმენტები: ახალგაზრდა მეცნიერი, რომელმაც ახლახან დაიცვა დისერტაცია, ცოდვია, რომ მაშინვე შეუშვან სტუდენტებთან, სანამ ცხელია და აზარტი აქვს, ერთი-ორი წელი გააგრძელოს წმინდა სამეცნიერო მუშაობა). ამისათვის უნდა გამოიყოს ხელფასის ფონდის გარკვეული ნაწილი პოსტდოქტორებისათვის. შემდგომ წლებში უნდა მოხდეს ამ ნაწილის გამუდმებული ზრდა, სანამ არ მივაღწევთ სუპერვაიზორებისა და პოსტდოქტორების სწორ პროპორციას. პარალელურად შეიძლება უკვე უფრო ასაკოვანი (სწავლებისგან გადაღლილი და მეცნიერებას მოწყურებული) დროებითი თანამშრომლების მიღებაც დასავლური საბატიკალ-ის მსგავსად.

თორნიკე ქაღვიშვილი